ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №9/107

CPV 55330000

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი

02 ნოემბერი 2017წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „წისქვილი ჯგუფი“ (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), წამოდგენილი გენერალური დირექტორის, ზურაბ ბაქრაძის სახით ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ირინა კაპეტივაძის მოხსენებითი ბარათი, კანცელარიის #MES 8 17 01338286 31.10.2017წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თსსუ-ს უცხოელი სტუმრების (პოლტავის სტომატოლოგიის კლინიკა-სტუდია „აპოლონიას“ კლინიკური ხელმძრვანელი სერგეი რადლინსკი და სასწავლო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელი ვერა რადლინსკა) ვიზიტთან დაკავშირებით, სადილის მოწყობა 4 პერსონაზე რესტორანში „წყნეთის წისქვილი“.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის თარიღია 2017 წლის 02 ნოემბერი.

2.2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.

5.3.2 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.3.3. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.3. საჯარიმო სანქციისა არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მ/შ ი. კაპეტივაძე.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB 0330100200165022

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

“მიმწოდებელი”

შპს „წისქვილი ჯგუფი“
ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ., მორფოლოგიის ინსტ. მ/ტ
საიდენტიფიკაციო ნომერი 202200778
თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22
ა/ა GE72TB1100000037467769

შპს „წისქვილი ჯგუფი“-ს გენერალური დირექტორი
ზურაბ ბაქრაძე